



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გენდერული სახელფასო სხვაობა

2020 წელი

24.02.2022
www.geostat.ge



24.02.2022

გენდერული გენდერული სახელფასო სხვაობა

2020 წელი

საინფორმაციო ფურცელი

გენდერული სახელფასო სხვაობა წარმოადგენს კაცისა და ქალის საშუალო ხელფასებს შორის სხვაობის თანაფარდობას კაცის საშუალო ხელფასთან. გენდერული სახელფასო სხვაობა, რომელიც არ ითვალისწინებს დემოგრაფიულ და სამუშაო მახასიათებლებს, ცნობილია, როგორც შეუსწორებელი გენდერული სახელფასო სხვაობა. დემოგრაფიული მახასიათებლების (ასაკი, განათლება, ოჯახური მდგომარეობა, საცხოვრებელი ადგილმდებარეობა - რეგიონი/დასახლების ტიპი და ა.შ.) და სამუშაო მახასიათებლების (ეკონომიკური საქმიანობის სფერო, დაკავებული პოზიცია და ა.შ.) გათვალისწინების შემთხვევაშიც კაცისა და ქალის ხელფასებს შორის არსებობს სხვაობა. აღნიშნული სხვაობა წარმოადგენს შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ გენდერული უთანასწორობის მაჩვენებელს. სახელფასო სხვაობის გამომწვევი სოციალური ფაქტორები საკმაოდ კომპლექსურია. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ფუნდამენტური კონვენცია „მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ“ ქვეყნებს ავალდებულებს უზრუნველყონ თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურება დისკრიმინაციის გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობის მაჩვენებლის გაანგარიშება, რომელიც ასახავს სახელფასო სხვაობას დემოგრაფიული და სამუშაო მახასიათებლების გათვალისწინებით. აღნიშნული მაჩვენებლის გაანგარიშება საქსტატმა განახორციელა გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ტექნიკური მხარდაჭერით.

მოსამზადებელი სამუშაოების ეტაპზე, UN Women-ის ექსპერტის დახმარებით შეფასდა შრომის ანაზღაურების მონაცემთა არსებული წყაროები და იმ მახასიათებლების ხელმისაწვდომობა, რომლებიც შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობის მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორებია. ვინაიდან საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმდინარე სტატისტიკური გამოკვლევა, რომლის საფუძველზეც იწარმოება ხელფასების შესახებ ოფიციალური სტატისტიკა, მოიცავს ძალიან მწირ ინფორმაციას ინდივიდუალური და სამუშაო მახასიათებლების შესახებ, შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობის გაანგარიშება სრულად დაეფუძნა საქსტატის სამუშაო ძალის გამოკვლევას, რომლის ფარგლებშიც ქვეყნის მასშტაბით კვარტალურად 15 000-ზე მეტი რესპონდენტი გამოიკითხება.

24.02.2022

შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობის გაანგარიშება, შრომის ბაზარზე არსებული გენდერული ბარიერების იდენტიფიცირებისკენ გადადგმული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რომელიც ხელს შეუწყობს ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისა და გენდერული უთანასწორობის შემცირებისკენ მიმართული ღონისძიებების გატარებას.

შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობის მაჩვენებლის გაანგარიშება ასევე გათვალისწინებულია საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების 2020-2023 წლების სტრატეგიით.

საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობის მაჩვენებელი გაანგარიშდა 15-64 წლის დაქირავებული მოსახლეობისთვის, რეგრესიული მოდელის გამოყენებით.

ძირითადი შედეგები

2020 წელს შესწორებულმა გენდერულმა საათობრივმა სახელფასო სხვაობამ 15.9 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი თვიური სახელფასო სხვაობის შემთხვევაში 21.4 პროცენტია.

საქმიანობის ძირითადი სახეების მიხედვით ყველაზე მაღალი შესწორებული გენდერული საათობრივი სახელფასო სხვაობა მომსახურების სფეროში დაფიქსირდა და 16.8 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი მრეწველობაში 15.4 პროცენტია, ხოლო მშენებლობაში - 13.2 პროცენტი. სოფლის მეურნეობის სფეროში შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობა უარყოფითია და -8.5 პროცენტს შეადგენს (კაცების საშუალო საათობრივი ხელფასი ჩამორჩება ქალების საშუალო საათობრივ ხელფასს).


აღსანიშნავია, რომ შესწორებული თვიური გენდერული სახელფასო სხვაობა, ყველა სფეროში აღემატება საათობრივ გენდერულ სახელფასო სხვაობას.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია შესწორებული საათობრივი და თვიური გენდერული სახელფასო სხვაობა საქმიანობის სახეების მიხედვით.

24.02.2022

დიაგრამა №1

შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობა, 2020 (%)



დაკავებული თანამდებობების/პოზიციების მიხედვით, ყველაზე დიდი შესწორებული საათობრივი გენდერული სახელფასო სხვაობა დანადგარებისა და მონყობილობების ოპერატორების და ამწყობების პოზიციაზე დაფიქსირდა და 49.2 პროცენტი შეადგინა, მეორე ადგილზეა ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშების პოზიცია (42.8 %), ხოლო მესამე ადგილზე ტექნიკოსების და დამხმარე სპეციალისტების პოზიცია (32.2 %).


ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია შესწორებული საათობრივი და თვიური გენდერული სახელფასო სხვაობა დაკავებული თანამდებობების/პოზიციების მიხედვით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

24.02.2022

დიაგრამა №2

შენსწორებული გენდერული სახელფასო სხვაობა დაკავებული თანამდებობების/ კოზიციების მიხედვით, 2020 (%)



შენიშვნები:

რელიზში გამოყენებულია დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია - ISCO-08 და ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია, რომელიც ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev.2.

საკონტაქტო პირები:

ვასილ ნაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelasvili@geostat.ge